

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე

საქართველო

ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჭიათურა-სკინდორის გზის რეაბილიტაცია

კონტრაქტის/ტენდერის # EIB/MIMP/W/NCB/22-2016

საქართველომ მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (EIB) დაფინანსება ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (URDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჭიათურა-სკინდორის გზის რეაბილიტაცია.**

პროექტი ითვალისწინებს ჭიათურა-სკინდორის (სიგრძით 6 011 მ.) გზის რეაბილიტაციას. ორფენიანი ასფალტო-ბეტონის (5+4) საფარის მოწყობას, სავალი ნაწილის სიგანე 5მ. ასევე სარეაბილიტაციო გზაზე ეწყობა ბეტონის სამკუთხა კიუვეტები.

სამშენებლო სამუშაოების ძირითადი მოცულობებია:

1. ფრაქციული ღორღი 37 176 კვ.მ;
2. ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი 4 508 კვ.მ;
3. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 30 055 კვ.მ;
4. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ნარევი 30 055 კვ.მ;
5. მონოლითური ბეტონი 166.5 კვ.მ;
6. ნიუჯერის ტიპის ბლოკები 612 გრმ.მ.

სამუშაოების ხანგრძლივობაა 300 (სამასი) დღე სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) კონკურსანტის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო ორი (2) წლის (2014, 2015წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ **2,550,000.00** ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტის წლიური შესაძლებლობა უნდა იყოს არანაკლებ **1,700,000.00** ლარის ექვივალენტის ოდენობით;

გ) კონკურსანტმა უნდა დაადასტუროს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არანაკლებ **425,000** ლარის ექვივალენტზე;

დ) კონკურსანტს, 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე, წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული სულ მცირე ერთი (1) **ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზის რეაბილიტაციის/შემენბლობის კონტრაქტი**, არანაკლებ **1,360,000.00** ლარის ექვივალენტის ღირებულებით ან ორ კონტრაქტში, რომელთაგან თითოეულის ღირებულებაა სულ მცირე **680,000.00** ლარის ექვივალენტი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ **ჭიათურის მუნიციპალიტეტში ჭიათურა-სკინდორის გზის რეაბილიტაცია**

ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს 3.4.1 პუნქტის შესაბამისად და დონორის გადაწყვეტილებით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია და მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურები ეროვნული საკონკურსო ვაჭრობისათვის.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.